



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2016 წლის III კვარტლის ანგარიში

- ❖ 3 ივნისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით ბათუმში ყოველდღიურად ხალხური მუსიკისა და ცეკვის კონცერტები, რომლებშიც სახელმწიფო, მუნიციპალური და თბილისის ანსამბლები მონაწილეობდნენ.
- "ფოლკლორის დღეები" გახლავთ "პითბათუმი 2016" - ის პროექტი, რომელიც წელს Check in Georgia- ფარგლებში მოეწყო.



❖ 14 ივლისს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ქართული ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლს "იალონს" უმასპინძლა. ანსამბლის აუდიო და DVD დისკის პრეზენტაცია "ფოლკ გარდენში" გაიმართა. დისკებში შესულია „იალონის“ 2015 წლის სოლო კონცერტის - „მზის ამოსვლიდან- ჩასვლამდე“ - ჩანაწერი. ასევე წარმოდგენილია ქართული ხალხური, საეკლესიო და ქალაქური სიმღერები და რიტუალები ადამიანის დაბადებიდან - გარდაცვალებამდე.

❖ 1-3 სექტემბერს, გურიაში შავი ზღის ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში მონაწილეობდნენ საქართველოს, იტალიის, შვეიცარიისა და თურქეთის ანსამბლები. სამი დღის განმავლობაში, ქართველ და უცხოელ მაყურებელს 4 ქვეყნის 24 ფოლკლორული ანსამბლის 400-მდე მონაწილემ ხალხური შემოქმედება გააცნო.



❖ 11-დან 16 სექტემბერდე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და შუახევის კულტურის ცენტრის ორგანიზებით, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში კომპლექსური ექსპედიცია მოეწყო. პროექტის "ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნიმუშების დაფიქსირება - საარქივო მასალების შექმნა" ფარგლებში დარგობრივ სპეციალისტთა ჯგუფი მუნიციპალიტეტს უკვე მესამედ ეწვია.



❖ 26-30 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის პატრონაჟით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის VIII საერთაშორისო სიმპოზიუმი.



- ❖ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთობლივი ძალისხმევით დამუშავდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ფონდებში დაცული საექსპედიციო ჩანაწერები, შეიკრიბა ფოლკლორული ანსამბლების მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული აქარული ნიმუშები. წარმოდგენილი მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება.
- გამოსაცემად მზად არის დისკი საარქივო აუდიოჩანაწერები. (კასპი, ქვემო ჭალა.) კომპაქტდისკზე წარმოდგენილია სიმღერა-დასაკრავები ქვემო ჭალის ფოლკლორული ანსამბლის, ქართლის და ამავე სოფლელი და-ძმის, იოსებ და ნადია ისერგიშვილების რეპერტუარიდან.
- გამოსაცემად მზად არის დავით ჯავრიშვილის ანთოლოგია
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენხუნდაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე - „ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“.
- გამოსაცემად მზად არის მონოგრაფია - „როსტომ გოგოლაძე“.
- გამოიცა ქართველი მუსიკოსის ომარ კელაპტრიშვილის ორი კომპაქტ-დისკი. (CD - „სალამურის ლეგენდა“ და DVD – „მარადიული ჰანგების დიდოსტატი“).
- მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის www.folk.gov.ge შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.
- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის შესავსებად.